პროგრამის აღწერა და მიზანი	პროგრამა ითვალისწინებს საქართველოს 2019 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ კანონის 17-ე მუხლის შესაბამისად დელეგირებული ფუნქციის შესრულებას, რომელიც თავისმხრივ მოიცავს სკოლის მოსწავლეების ტრანსპორტირებას. ტრანსპორტირება გულისხმობს ისეთი სოფლებიდან, სადაც არ არის საჯარო სკოლა, ბავშვების წყვანას ახლო მდებარე საჯარო სკოლებში და მათ უკან სახლში დაბრუნებას. დღეის მდგომარეობით მომსახურემას ახორციელებს თვრამეტი მინი ავტობუსი, რომელსაც გადაყავს დაახლოებით 2651 ბავშვი.		
მოსალოდნელი შედეგი	სკოლის მოსწავლეებისთვის საშუალოგანათლების მიღების ხელმისაწვდომობა		

ათას ლარში

პროგრამის დასახელება	კოდი	სკოლების რეაბილიტაცია	დაფინანსება ათას ლარში
	04 04		476.0
პროგრამის განმახორციელებელი	ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამსახური		
პროგრამის აღწერა და მიზანი	პროგრამა ითვალისწინებს საქართველოს 2019 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ კანონის 17-ე მუხლის შესაბამისად დელეგირებული ფუნქციის შესრულებას, რომელიც თავისმხრივ მოიცავს საჯარო სკოლების მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოებს. მიმდინარე წელს გაგრძელდება 2019 წელს საქ. მთავრობის № 13 განკარგულებით დაწყებული სკოლების რემონტი, ასევე დაემატება საქ. მთავრობის 2020 წლის № 27 განკარგულებით გამოყოფილი სახსრები.		
მოსალოდნელი შედეგი	რეაბილიტირებული და სწავლისთვის შესაფერისი პირობების მქონე საჯარო სკოლები		

ათას ლარში

პროგრამის დასახელება	კოდი	ზოგადი განათლების ხელშეწყობა	დაფინანსება ათას ლარში
	04 05		80.0
		(სკოლა-პანსიონი)	



პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	სსიპ ბორის საჯარო სკოლა პანსიონი
პროგრამის აღწერა და მიზანი	<p>სსიპ ბორის საჯარო სკოლა – პანსიონი არის საჯარო სამართლის იურიდიული პირი, რომელიც სწავლას ახორციელებს, დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურზე. შესულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 15 სექტემბრის № 448 ბრძანების შესამე დანართში და ბავშვებს სთავაზობს პანსიონურ მომსახურებას ადგილობრივი ბიუჯეტიდან.</p> <p>2020 წლისთვის პანსიონში დასაქმებული იქნება 20 თანამშრომელი. ადგილობრივი ბიუჯეტიდან მოღებული 79000 ლარიდან 73100 ლარი ხელფასებს ხმარდება, ხოლო 5900 ლარი არის საქონელი და მომსახურება. ადგილობრივი ბიუჯეტიდან დაფინანსებით სკოლა იზიდავს არასამთავრობო ორგანიზაციას, რომელიც სკოლაში სკოლის პანსიონური ტიპიდან გამომდინარე შემოდის და გარდა სკოლაში დამჩენი 14 ბავშვისა სკოლის 137 მოსწავლეს უწყევს დახმარებას პანსიონში სანიტარული და ჰიგიენური ნორმების დაცვა, რომელიც შესაბამისობაში იქნება საქართველოს მთავრობის 2017 წლის 27 ოქტომბრის №485 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტის დადგენილ ნორმებთან; პანსიონის მატერიალურ ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება; პანსიონში კვების ორგანიზებისა და რაციონის ნორმების დაცვა, რომელიც შესაბამისობაში იქნება საქართველოს მთავრობის 2017 წლის 30 ოქტომბრის №487 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტის დადგენილ ნორმებთან; პანსიონში დასაქმებული პერსონალის შრომითი პირობების გაუმჯობესება.</p>
მოსალოდნელი შედეგი	<p>სსიპ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სოფელ ბორის საჯარო სკოლა, სადამზრდელი პროცესის წარამთვისათვის უზრუნველყოფილი იქნება შესაბამისი პირობებით: დაცული იქნება სახელმწიფოს მიერ დადგენილი სტანდარტები, დაცული იქნება სანიტარული და ჰიგიენური ნორმები, გაუმჯობესდება სოციალურად დაუცველი ბავშვების ყოფა და მათთვის პირველხარისხოვანი გახდება სწავლაზე ზრუნვა, ასევე ხელმისაწვდომი იქნება მათთვის უმაღლესი განათლების უფასოდ მიღება. გარდა ზემოთ ჩამოთვლილი სიკეთებისა მომავალ სასწავლო წელს არასამთავრობო ორგანიზაციის მიერ გვაქვს უფრო მეტი შემოთავაზებები. რაც აისახება მოსწავლეების კეთილდღეობაზე.</p>

ათას ლარში

პროგრამის დასახელება	კოდი 04 06	სკოლისგარეშე განათლების პროგრამა (მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი)	დაფინანსება ათას ლარში 110.0
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ „მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი“		
პროგრამის აღწერა და მიზანი	<p>პროგრამის ფარგლებში ფინანსდება ხარაგაულის მუნიციპალიტეტის „მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი“ და მასთან არსებული მუსიკალური სტუდია „ჰარმონია“</p> <p>პროგრამა გულისხმობს მოზარდთა შემეცნებით საგანმანათლებლო დონის ამაღლებას, არაფორმალური განათლების პოპულარიზაციას.</p> <p>მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლში ფუნქციონირებს 14 დასახელების წრე; საესტრადო სიმღერის წრე (45 ბავშვი), რიტმული ცეკვის წრე (30 ბავშვი), ხალხური სიმღერის წრე სოფ. ლელვანსი (15 ბავშვი), კინომოყვარულთა წრე (25 ბავშვი), კომპიუტერის შემსწავლელი წრე სოფ. ბორითი (10 ბავშვი), საეკლესიო საგალობლების შემსწავლელი წრე (35 ბავშვი), ნორჩ-მათემატიკოსთა წრე (30 ბავშვი), მხარეთმცოდნეობის შემსწავლელი წრე (32 ბავშვი), ხელგარჯილობის წრე (25 ბავშვი), ინგლისური ენის შემსწავლელი წრე (35 ბავშვი), ხატვის წრე (30 ბავშვი), მაკრამეს წრე (25 ბავშვი, სპეც. საჭიროების ჯგუფი (10 ბავშვი), საბავშვო თეატრი (18 ბავშვი), ხეზე კვეთის წრე სოფ. მარელისში (12 ბავშვი), მუსიკალური სტუდია ხარაგაულსა და სოფელ ვერტყვიჭალაში (31 ბავშვი). ბავშვებისათვის ყველა წრე უფასოა გარდა მუსიკალური სტუდიისა, რომელიც ნაწილობრივ ფინანსდება მშობელთა შემონატანით, რაც შეეხება სოციალურად დაუცველ სტუდიის მოსწავლეებს გათავისუფლებულულები არიან გადასახადისაგან. წრეებში გაერთიანებულია სულ 408 ბავშვი. (სახელობითი სიით 260 ბავშვი). მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლში დასაქმებულია 22 თანამშრომელი, მათ შორის 2 ტექნიკური და 4 ადმინისტრაციული პერსონალი, 16 პედაგოგი. ტექნიკური პერსონალის ხელფასი შეადგენს 7800 ლარს, ადმინისტრაციის 39000 ლარს, პედაგოგების 60060 ლარს.</p> <p>ბავშვები პერიოდულად მონაწილეობა ღებულობენ რაიონულ და რესპუბლიკურ</p>		



ღონისძიებებში, ფესტივალებსა და კონკურსებში.

ქვეპროგრამის მიზანია: მოსწავლე-ახალგაზრდობის თავისუფალი დროის შინაარსიანი გამოყენება. მეტი მოზარდის ჩართულობა.

წარმატებით ჩატარებული ღონისძიებები. მუნიციპალიტეტის წარმოჩენა ქვეყნის მასშტაბით ფესტივალებზე და კონკურსებზე მიღწეული შედეგებით.

მოსალოდნელი შედეგი: მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი სასწავლო წლის მანძილზე ფუნქციონირებს შეუფერხებლად; ყველა მსურველი კმაყოფილია მოსწავლეთა სახლის მომსახურებით; მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოსწავლეებისათვის ხელმისაწვდომია წრეებით სარგებლობა.

მუხლი 16. კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი

კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტის პრიორიტეტის დაფინანსებისათვის განისაზღვროს 1563,5 ათასი ლარი. კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტის პრიორიტეტის ფარგლებში დაფინანსებული პროგრამების და ქვეპროგრამების მიზნები და მოსალოდნელი შედეგები განისაზღვროს შემდეგი რდაქციით:

ათას ლარში

პროგრამული კოდი	პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა	2020 წლის გეგმა
05 00	კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი	1563,5
05 01	სპორტის სფეროს განვითარება	633,5
05 01 01	სპორტული ღონისძიებები	10,0
05 01 02	სპორტისა და შიდა ტურიზმის ხელშეწყობა	376,0
05 01 04	სპორტული ობიექტების რეაბილიტაცია, მშენებლობა აღჭურვა	247,5
05 02	კულტურის სფეროს განვითარება	820,0
05 02 01	კულტურის სფეროს დაწესებულებების ხელშეწყობა	810,7
05 02 01 01	სახელოვნებო განათლების ხელშეწყობა	125,0
05 02 01 02	კულტურისა და ხელოვნების ხელშეწყობა	665,0
05 02 01 03	ფოლკლორის ხელშეწყობის პროგრამა	20,7
05 02 02	კულტურის ღონისძიებების დაფინანსება	7,0
05 02 03	კულტურის ობიექტების მშენებლობა რეაბილიტაცია,	2,3
05 03	მოქალაქეთა ჩართულობისა და ინფორმირების ხელშეწყობის პროგრამა	50,0
05 04	რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა	50,0
05 05	ახალგაზრდობის მხარდაჭერა	10,0

ათას ლარში

დაფინანსება



ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	სპორტული ღონისძიებების დაფინანსება	ათას ლარში
	05 01 01		10,0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის და სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება: სხვადასხვა სახის სპორტული ღონისძიებების და აქტივობების ორგანიზება, მასში მონაწილე სპორტსმენებისა და ახალგაზრდების დაჯილდოება, წახალისება ფულადი და ფასიანი საჩუქრებით; სპორტის სხვადასხვა სახეობების ხელშეწყობა; წარმატებული და ნიჭიერი სპორტსმენების წახალისება და ხელშეწყობა; ღვაწლმოსილი და ვეტერანი სპორტის დამსახურებული სპორტსმენების დასაჩუქრება; სპორტული ა.(ა).ი.პ.-ების ფუნქციონირების ხელშეწყობა; სხვადასხვა სპორტულ ღონისძიებებზე ტრანსპორტირებაში დახმარება;		
მოსალოდნელი შედეგი	ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრების ხელშეწყობა; ნიჭიერი სპორტსმენი ახალგაზრდების გამოვლინება; სპორტის სხვადასხვა სახეობების პოპულარიზაცია და მასობრიობის ზრდა;		

ათას ლარში

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	სპორტისა და შიდა ტურიზმის ხელშეწყობა	დაფინანსება ათას ლარში
	05 01 02		375,0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ სპორტისა და შიდა ტურიზმის ცენტრი		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>სპორტისა და შიდა ტურიზმის ცენტრი აერთიანებს 15 სპორტულ მიმართულებას, ესენია: ფეხბურთი (80 ბავშვი); კალათბურთი (86ბავშვი); მაგიდის ჩოგბურთი (12ბავშვი); ჭადრაკი და შაში (12ბავშვი); მიუ-დო (66 ბავშვი); თვისუფალი ჭიდაობა (16ბავშვი); ქართული ჭიდაობა (20 ბავშვი); ბერძნულ-რომაული ჭიდაობა (16 ბავშვი); სამბო (18 ბავშვი); კარატე ტაიკვანდო (24ბავშვი); კარატე კუნგ-ფუ-სანდა (24ბავშვი); სპორტული კარატე (20ბავშვი); რაგბი (24ბავშვი); მძლეოსნობა(18ბავშვი); მკლავჭიდი (15ბავშვი). სულ 27 ჯგუფია, ჯგუფები გახსნილია ბორითში, ხევში, კიცხში,ბორში, ვერტყვიჭალაში, ნადაბურში,ლორეშაში,ვახანში, მოლითში.სულ ცენტრში სპორტის სახეობებს ეუფლება 450 მოსწავლე, რომელთაც სამწვრთნელო პროცესი უტარდებათ კვირაში 4-ჯერ. სპორტულ ცენტრში დასაქმებულია 66 ადამიანი, მათ შორის 39ტექნიკური და ადმინისტრაციული პერსონალი და 27 მწვრთნელი. ცენტრის აღსაზრდელები პერიოდულად გადიან სპორტულ შეკრებებს, მონაწილეობას დებულობენ სპორტულ შეჯიბრებებში და ტურნირებში როგორც საქართველოს მასშტაბით ასევე საზღვარგარეთ. სპორტისა და შიდა ტურიზმის ცენტრი ტურიზმის მიმართულებით ახორციელებს შემდეგ ღონისძიებებს:იღბლიანი ანკესი, ჯომარდობა,ხარაგაულელი პირველკურსელების გაცილება სტუდენტობის გზაზე,დაიცავი ბუნება განადგურებისაგან, ლედნის ბანაკი და სათავგადასავლო ტურ-თამაშები, იცნობდეთ ხარაგაულს და ახალგაზრდა მოყვარულ მხატვართა კონკურსი</p> <p>ქვეპროგრამის მიზანია:</p> <ul style="list-style-type: none"> - ხელი შეუწყოს მოზარდებში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას; - მეტი მოზარდის ჩართვას სპორტში, რათა ნაკლები დრო დარჩეთ ქუჩისათვის; -მუნიციპალიტეტის სპორტული შედეგების წარმოჩენა ქვეყნის მასშტაბით; -უკანონო თევზჭერის დაგმობა და სპორტული თევზაობის პოპულარიზაცია; - ჯომარდობის მნიშვნელობის გაზრდა და სამომავლოდ ჯომარდობის სკოლის ჩამოყალიბება; -ახალგაზრდებს საშუალება ეძლევათ გამოავლინონ საკუთარი ფიზიკური და ინტელექტუალური შესაძლებლობები;- ახალგაზრდა ნიჭიერი შემოქმედი ბავშვების გამოვლენა და მათი წახალისება -ანდრიაობის ღონისძიება; - ბუკლეტების დამზადება და გავრცელება. 		
მოსალოდნელი	სპორტული ცენტრი მთელი წლის მანძილზე ფუნქციონირებს შეუფერხებლად; ყველა მსურველი დაკმაყოფილებულია ცენტრის მომსახურებით; მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოზარდებისათვის		



შედეგი	ხელმისაწვდომია სპორტული წრეებით სარგებლობა;
--------	---------------------------------------------

ათას ლარში

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	სპორტული ობიექტების რეაბილიტაცია, მშენებლობა აღჭურვა	დაფინანსება ათას ლარში
	05 01 04		247,5
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	აღნიშნული ქვეპროგრამით განხორციელდება საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დაბა ხარაგაულში ფეხბურთის სათამაშო მოედნის რეაბილიტაცია და კალათბურთის მოედნის მშენებლობა		
მოსალოდნელი შედეგი	საფეხბურთო და საკალათბურთო სტადიონები შეუფერხებლად უმასპინძლებს წლის განმავლობაში გამართულ ყველა სპორტულ ღონისძიებას		

ათას ლარში

პროგრამის დასახელება	კოდი	სახელოვნებო განათლების ხელშეწყობა	დაფინანსება ათას ლარებში
	05 02 01 01		125,0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ა(ა)იპ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის შოთა ბუაჩიძის სახელობის სამუსიკო სკოლა		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	სამუსიკო სკოლაში ფუნქციონირებს საფორტეპიანო, თეორიული, ვიოლინოს, კლასიკური გიტარის, საესტრადო ვოკალის, დრამის მიმართულებები. სამუსიკო სკოლაში დაწყებით სამუსიკო განათლებას იღებს ხარაგაულის მუნიციპალიტეტში მცხოვრები 96 ბავშვი. სკოლაში დასაქმებულთა რაოდენობა შეადგენს (ადმინისტრაციული პერსონალი და პედაგოგები) 16 თანამშრომელს. დაფინანსება 128 350 ლარი. სკოლაში ფუნქციონირებს ვოკალურ- ინსტრუმენტული ბენდი. სამუსიკო განათლების ხელშეწყობის მიზანია: შემოქმედებითი მიდრეკილების განვითარებისა და კულტურული მემკვიდრეობის შესწავლისათვის შესაბამისი პირობების შექმნა; განსაკუთრებული მუსიკალური ნიჭით დაჯილდოვებული მოსწავლეების გამოვლენა; სიმღერის, სხვადასხვა ინსტრუმენტებზე დაკვრის შემსწავლელი მიმართულებების ჩამოყალიბება; კულტურული ღონისძიებების ჩატარება. მონაწილეობის მიღება ფესტივალებში, კონკურსებში, ფორუმებში როგორც საქართველოში ისე საზღვარგარეთ.		
მოსალოდნელი შედეგი	მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოქმედი სამუსიკო სკოლა წლის განმავლობაში ფუნქციონირებს შეუფერხებლად. სრულად არის დაკმაყოფილებული სამუსიკო განათლებაზე მუნიციპალიტეტში მცხოვრები ბავშვებისა და მოზარდების მოთხოვნა. სკოლის აღსაზრდელები მონაწილეობენ მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ჩატარებულ კულტურულ ღონისძიებებში, ასევე ქვეყნის მასშტაბით და საზღვარგარეთ ჩატარებულ კონკურსებსა და ფესტივალებში.		

ათას ლარში

პროგრამის დასახელება	კოდი	კულტურისა და ხელოვნების ხელშეწყობა	დაფინანსება ათას ლარში
	05 02 01 02		665,0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ა(ა)იპ – ხარაგაულის მუნიციპალიტეტის კულტურის და ხელოვნების ცენტრი		
	ისტორიული მუზეუმი, 25 ბიბლიოთეკა, ოთარ აბაშიძის სახელობის სახალხო თეატრი, თოჯინების		



თეატრი და რეზო თაბუკაშვილის სახელობის სახალხო ლიტერატურული თეატრი.

კულტურის ცენტრში გაერთიანებულია სხვადასხვა მიმართულებები, ქორეოგრაფიული წრეები, ფოლკლორული ანსამბლები, ვოკალური წრე, ვაჟთა ვოკალური ანსამბლი, აღნიშნული წრეების სწავლების პროგრამებში მონაწილეობს 50-მდე აღსაზრდელი, ფოლკლორული სიმღერისა და ცეკვის ანსამბლებში ჩართულია 200-მდე მონაწილე. დაფინანსება 65,400 ლარი.

მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს 25 საბიბლიოთეკო განყოფილება, მათ შორის 1 ცენტრალური, 1 საბავშვო, 1 პატარა ხარაგაულის და 22 სასოფლო ბიბლიოთეკა. წიგნადი ფონდი ჯამში შეადგენს 196123 ერთეულს. ბიბლიოთეკით მოსარგებლეთა რაოდენობა შეადგენს 4700 ადამიანს. დაფინანსება 96,780 ლარი. ბიბლიოთეკა ახორციელებს სხვადასხვა სახის საგანმანათლებლო და კულტურულ ღონისძიებებს, ტრადიციულად აქტიურად მონაწილეობს საბიბლიოთეკო კვირეულში, გრძელდება პროექტი „შეხვედრა ცნობილ ადამიანებთან“, რომლის ფარგლებშიც არაერთი ცნობილი სახე სტუმრობდა ხარაგაულს. აქტიურად მიმდინარეობს წიგნადი ფონდის განახლება და მოსახლეობაში წიგნის პოპულარიზაცია, ბიბლიოთეკა ახორციელებს პროექტს შშმ პირთათვის, პროექტით სარგებლობს 30-მდე ბენეფიციარი, დაფინანსება 11,540 ათასი ლარი. აგრეთვე ფუნქციონირებს ბიბლიოთეკასთან არსებული ინოვაციების ცენტრი, რომელიც ახორციელებს სხვადასხვა სახის ტრენინგებს თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით, ტრენინგები ტარდება სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფებისათვის, მოსარგებლეთა რაოდენობა 250 მდე ადამიანი. დაფინანსება 11,400 ლარი. სულ ბიბლიოთეკისა და მასში შემავალი განყოფილებების დაფინანსება 119,720 ლარი.

ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი

კულტურის ცენტრთან არსებული ო. აბაშიძის სახელობის სახალხო თეატრი მრავალი ათეული წელია წარმატებით ფუნქციონირებს. მომავალ წელს აღინიშნება თეატრის დაარსების საიუბილეო თარიღი, იგეგმება 2 პრემიერა და 2 სპექტაკლის აღდგენა სულ გაიმართება 8 ჩვენება. თოჯინების სპექტაკლი გამართავს 1 სპექტაკლის პრემიერას, რომელიც ნაჩვენები იქნება 4ჯერ. ასევე წარმატებულად მოდვარავენ რეზო თაბუკაშვილის სახელობის სახალხო ლიტერატურული თეატრი, დაგეგმილია 5 სპექტაკლის პრემიერა, აღდგება 12 სხვადასხვა სპექტაკლი და საბოლოო ჯამში გაიმართება 42 ჩვენება. აღსანიშნავია, რომ სპექტაკლები და თეატრალური წმოდგენები იმართება როგორც მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ასევე მის ფარგლებს გარეთაც. სულ თეატრების დაფინანსება 137,160 ლარი.

მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს 1 ისტორიული მუზეუმი, ექსპონატების რაოდენობა 11 686 ერთეული; ვიზიტორები წლის განმავლობაში 4250; მუზეუმის დაფინანსება 62,520 ლარი, მუზეუმში ხორციელდება სხვადასხვა სახის საგანმანათლებლო პროექტები: პატარა არქეოლოგები, მოხალისე გიდები, პატარა რესტავრატორები, „ჩვენ ვხატავთ ანიმაციას“, „ფერწერული მუსიკა“, „ქართული საცხოვრებელი“ და ა.შ. პერიოდულად იგეგმება საგამოფენო დარბაზის განახლება ექსპონატებით, მოეწყობა სხვადასხვა სახის ფერწერული თუ გრაფიკული ნამუშევრების გამოფენა. ფუნქციონირებს ხატვისა და ქანდაკების შემსწავლელი წრე, სადაც აღსაზრდელები ეუფლებიან სხვადასხვა მასალების გამოყენებით ფერწერული თუ კერამიკული ნამუშევრების შექმნას.

მუნიციპალიტეტის კულტურის დაწესებულებათა გაერთიანების ხელშეწყობის ქვეპროგრამის მიზანია: მოსახლეობაში ტრადიციული კულტურის პოპულარიზაცია, შემოქმედებითი უნარების განვითარება; თეატრალური სფეროსადმი, ბიბლიოთეკებისა და მუზეუმებისადმი მოსახლეობის დაინტერესების ზრდა და ჩართულობის გაზრდა

მოსალოდნელი შედეგი

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოქმედი სამუსიკო სკოლა წლის განმავლობაში ფუნქციონირებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოქმედი კულტურის დაწესებულებები ფუნქციონირებენ შეუფერხებლად. კულტურის სახლების მიერ სრულად არის დაკმაყოფილებული ქორეოგრაფიულ, ფოლკლორულ და ვოკალურ წრეებზე მუნიციპალიტეტში მცხოვრები ბავშვებისა და მოზარდების მოთხოვნა. თეატრებში იდგმება სპექტაკლები. ბიბლიოთეკები და მუზეუმები საკუთარი მომსახურებას სთავაზობენ მსურველებს. ა(ა)იპ-ის ადმინისტრაციული პერსონალი უზრუნველყოფილია სამუშაო პირობებით (ხელფასი და სხვა)

ათას ლარში

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	ფოლკლორის ხელშეწყობის პროგრამა	დაფინანსება ათას ლარებში
	05 02 01 03		20,7
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	სსიპ საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრი		
პროგრამის აღწერა და მიზანი	ხარაგაულის მუნიციპალიტეტსა და სსიპ საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრს სორის 2019 წელს გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის თანახმად ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სალოტბარო სკოლის ახალგაზრდობის აქტიური ჩართვა ცენტრის მიერ მოწყობილ ფესტივალებსა და ღონისძიებებში. წარჩინებული ახალგაზრდობის უფასო სწავლება გიორგი მთაწმინდელის სახელობის საეკლესიო გალობის აკრედიტირებულ უმაღლეს სასწავლებელში საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამებზე. ასევე სწავლის დასრულების შემდეგ		



დასაქმების ხელშეწყობა და ადგილობრივი სპეციალისტების გადამზადება სპეციალური პროგრამით.

მოსალოდნელი შედეგი	სალოტბარო სკოლის მოსწავლეების უფასოდ ჩართვა სსიპ საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის მიერ განხორციელებულ ფესტივალებსა და ღონისძიებებში.
--------------------	----------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------

ათას ლარში

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	კულტურის ღონისძიებების დაფინანსება	დაფინანსება ათას ლარში
	05 02 02		7.0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის და სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>პროგრამა ითვალისწინებს ხარაგაულის მუნიციპალიტეტში სადღესასწაულო დღეებში ღონისძიებების, ფესტივალების, ფორუმების, ლიტერატურულ-შემოქმედებითი საღამოების ორგანიზებას;</p> <p>კულტურული პროექტების თანადაფინანსებას;</p> <p>კულტურისა და განათლების სფეროში მოღვაწე ადამიანების, წარმატებული შემოქმედებითი ჯგუფების და ახალგაზრდების წახალისებას;</p> <p>კულტურული მემკვიდრეობის დაცვას და შენარჩუნებას;</p> <p>კულტურის სფეროში მოღვაწე ადამიანების, კულტურულ ღონისძიებებში მონაწილეობის მიზნით ტრანსპორტირებით უზრუნველყოფას.</p>		
მოსალოდნელი შედეგი	<p>ქვეპროგრამის განხორციელების შედეგად შესაძლებელი იქნება მასობრივი ღონისძიებების ორგანიზება, მუნიციპალიტეტის ტურისტული პოტენციალის ზრდა, ადგილობრივი შემოქმედებითი ჯგუფების პოპულარიზაცია და მოსახლეობის კულტურულ ცხოვრებაში ჩართულობის ზრდა;</p> <p>კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნება, პატივისცემა და განვითარება;</p> <p>პროგრამის განხორციელების შედეგად მოხდება კულტურისა და განათლების სფეროში მოღვაწე ადამიანების შემოქმედების წარმოჩენა, შედეგად გაიზრდება შემოქმედებით სფეროში მოღვაწე ადამიანების მოტივაცია.</p>		

ათას ლარში

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	კულტურის ობიექტების მშენებლობა და რეაბილიტაცია	დაფინანსება ათას ლარში
	05 02 03		2,3
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამა ითვალისწინებს რეაბილიტირებული ცენტრალური ბიბლიოთეკის შენობაზე საგარანტიო 2,5 %-ის მშენებელი ორგანიზაციისათვის დაბრუნებას დადებული ხელშეკრულების მიხედვით.		
მოსალოდნელი შედეგი	კულტურის ობიექტების მშენებლობა და რეაბილიტაცია ხარისხიანად		

ათას ლარში

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	მოქალაქეთა ჩართულობისა და ინფორმირების ხელშეწყობის პროგრამა	დაფინანსება ათას ლარებში
	05 03		50,0



ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ა(ა) იპ „მოქალაქეთა ჩართულობისა და ინფორმირების მუნიციპალური ცენტრი“
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება, ა(ა) იპ „მოქალაქეთა ჩართულობისა და ინფორმირების მუნიციპალური ცენტრი“, რომელიც უზრუნველყოფს გაზეთ „ახალი ხარაგაულის გამოცემას“. ცენტრის ბაზაზე ასევე ფუნქციონირებს ცხელი ხაზი. გაზეთის საშუალებით მოსახლეობას სისტემატიურად მიეწოდება ინფორმაცია მუნიციპალიტეტის მიერ მიღებული სამართლებრივი აქტების, ადმინისტრაციული წარმოების მიმდინარეობის და სხვადასხვა ღონისძიებების შესახებ. ცხელი ხაზი, რომლის მეშვეობით დაინტერესებული პირებისათვის მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელ პირებთან კომუნიკაცია და მათთვის საჭირო ინფორმაციის მოპოვება, ბევრად ნაკლები დროისა და ენერჯის ხარჯზე. ცხელი ხაზის ძირითადი დატვირთვაა შემდეგი აქტივობები: მოქალაქეთა პრობლემების დაფიქსირება და შესაბამის საჯარო მოხელეებთან გადამისამართება და მათთვის საჭირო ინფორმაციის მიწოდება. ადგილობრივ თვითმმართველობაში მოქალაქეთა ჩართულობის ამაღლების, ადგილობრივ თვითმმართველობასა და მოქალაქეებს შორის კომუნიკაციის გაუმჯობესების მიზნით, სისტემატიურად იმართება შეხვედრები სოფლებში. ადგილზეგაცნობა მოსახლეობის პრობლემების და ადგილობრივი თვითმმართველობის ხელმძღვანელობამდე მიტანის უზრუნველყოფა. ასევე კომპეტენციის ფარგლებში დახმარება.
მოსალოდნელი შედეგი	მოსახლეობის ინფორმირება მუნიციპალიტეტში მიმდინარე აქტივობების შესახებ; ადგილობრივ თვითმმართველობასა და მოსახლეობას შორის კომუნიკაციის გაუმჯობესება. მოქალაქეებისათვის საჭირო ინფორმაციის მოპოვება ბევრად ნაკლები დროის ხარჯზე.

ათას ლარში

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა	დაფინანსება ათას ლარებში
	05 04		50,0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	პროგრამის ფარგლებში ფინანსური მხარდაჭერა გაეწევა დაბაში ახლადაშენებულ საკათედრო ტაძარს შიდა მოწყობითი სამუშაოების შესასრულებლად და საეკლესიო ინვენტარის შესაძენად. ასევე დახმარება გაეწევა სკოლა-გიმნაზიას.		
მოსალოდნელი შედეგი	რელიგიური ორგანიზაციების ფინანსური ხელშეწყობა		

ათას ლარში

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	ახალგაზრდობის მხარდაჭერა	დაფინანსება ათას ლარებში
	05 05		10.0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის და სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	პროგრამის ფარგლებში ხორციელდება შემდეგი პროექტები: – ახალგაზრდული პროექტები მომართვიანობის მიხედვით; ქვეპროგრამის მიზანია ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ახალგაზრდობის მიერ წარმოდგენილი სხვადასხვა პროექტის ფინანსური მხარდაჭერა, თავისუფალი დროის ეფექტურად და შინაარსიანად ხარჯვის ორგანიზება, მუნიციპალიტეტის ახალგაზრდობის ინტელექტუალური, ფიზიკური და სულიერი პოტენციალის გამოვლენა, ინოვაციური იდეების მქონე საინიციატივო ჯგუფების ხელშეწყობა.		
მოსალოდნელი შედეგი	მუნიციპალიტეტის მერიაში წარმოდგენილი პროექტების დაფინანსება, რომლებიც დაკავშირებულია ახალგაზრდულ პოლიტიკასთან		



მუხლი 17. ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა

ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფის პრიორიტეტის დაფინანსები-სათვის განისაზღვროს 1 022.7 ათასი ლარი. ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფის პრიორიტეტის ფარგლებში დაფინანსებული პროგრამების და ქვეპროგრამების მიზნები და მოსალოდნელი შედეგები განისაზღვროს შემდეგი რედაქციით:

ათას ლარში

პროგრამული კოდი	პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა	2020 წლის გეგმა
06 00	ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	1 022.7
06 01	საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვა და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფა	125.0
06 01 01	ჯანმრთელობის დაცვის ობიექტების რეაბილიტაცია, მშენებლობა აღჭურვა	1,7
06 02	სოციალური დაცვა	896.0
06 02 01	სამკურნალო და საოპერაციო ხარჯებით დახმარების პროგრამა	345.4
06 02 02	კოხლერული იმპლანტით მოსარგებლე პირთა დახმარება	5.0
06 02 03	შშმ პირთა დახმარების პროგრამა	40.6
06 02 04	ერთჯერადი ფინანსური დახმარება	60.0
06 02 05	ლეიკემიით დაავადებულთა და დიალიზზე მყოფი პირების დახმარება	23.0
06 02 06	მრავალშვილიანი ოჯახების დახმარების ქვეპროგრამა	10.0
06 02 07	მარტოხელა მშობლების დახმარების პროგრამა	3.0
06 02 08	მარჩენალდაკარგულთა დახმარების ქვეპროგრამა	6.0
06 02 09	ყოველთვიური დახმარების პროგრამა	50.0
06 02 10	საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის ომში დაღუპულთა დახმარების პროგრამა	8.0
06 02 11	ხანდაზმულთა დახმარების პროგრამა	2.0
06 02 12	სადღესასწაულო დღეების დახმარება	34.0
06 02 13	სოციალურად დაუცველ და უპატრონო მიცვალებულთა სარიტუალო მომსახურების პროგრამა	10.0
06 02 14	უკიდურესად გაჭირვებული ოჯახების სათბობი მასალით დახმარების პროგრამა	6.0
06 02 15	ახალშობილთა ოჯახების დახმარების ქვეპროგრამა	30.0
06 02 16	გარდაცვლილი დევნილის ან ვეტერანის დაკრძალვა	1.0
06 02 17	სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული და მძიმე საცხოვრებელი პირობების მქონე ოჯახების დახმარება	143.0
06 02 18	უფასო სასაბინო	109.0
	სოციალური დაცვის ობიექტების რეაბილიტაცია და ინვენტარით	



პროგრამის დასახელება	კოდი	საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფა	დაფინანსება ათას ლარში
	06 01		125,0
პროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი		
პროგრამის აღწერა	<p>მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის სისტემის წინაშე მდგარი ამოცანების შესრულება არსებული რეალობებისადმი მიდგომების ახლებურად გააზრებას და რადიკალურ გარდაქმნებს ითხოვს. საზოგადოებრივი ჯანდაცვის პრობლემათა გადაჭრა მოსახლეობის მომსახურების მრავალფეროვნებაში, არსებულ პირობებთან ადაპტირებაში, ჯანმრთელობისათვის მოსალოდნელი საფრთხეებისა და რისკების თავიდან აცილებაში მდგომარეობს.</p> <p>თვითმმართველი ერთეულების უფლებამოსილებები საზოგადოებრივი ჯანმრთელობის სფეროში არის: ა) საგანმანათლებლო, სადამრღელო და საგანმანათლებლო-სადამრღელო დაწესებულებებში სანიტარიული და ჰიგიენური ნორმების დაცვის ზედამხედველობა; ბ) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დაავადებების გავრცელების პრევენციის მიზნით დერატიზაციის, დეზინსექციისა და დეზინფექციის ღონისძიებათა ორგანიზება; გ) საგანმანათლებლო, სადამრღელო და საგანმანათლებლო-სადამრღელო დაწესებულებებში პრევენციული ღონისძიებების განხორციელების ხელშეწყობა; დ) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებულ საზოგადოებრივი მნიშვნელობის დაწესებულებებში სანიტარიული ნორმების დაცვის ზედამხედველობა, მათ შორის, საზოგადოებრივი მნიშვნელობის დაწესებულებებში ესთეტიკური და კოსმეტიკური პროცედურების განმახორციელებელ დაწესებულებებში ინფექციების პრევენციისა და კონტროლის სანიტარიული ნორმების დაცვის კონტროლი; ე) პროფილაქტიკური აცრების ეროვნული კალენდრით განსაზღვრული იმუნოპროფილაქტიკისათვის საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ მიწოდებული მასალების მიღების, შენახვისა და განაწილების უზრუნველყოფა სამედიცინო მომსახურების მიმწოდებლებისათვის; ვ) პრევენციული და ეპიდემიოლოგიური კონტროლის ღონისძიებების გატარება ეპიდსაშიშროებისას; ზ) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე პირველადი ეპიდკვლევის ხელშეწყობა; თ) „ტუბერკულოზის კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონით მათთვის განსაზღვრული უფლებამოსილებების განხორციელება. ი) საჯარო დაწესებულებებში და ტრანსპორტში თამბაქოს კანონმდებლობის მონიტორინგი.</p> <p>პროგრამა შედგება შემდეგი ქვეპროგრამებისაგან: კ) კიბოს სკრინინგის პროგრამაში უფასო ტრანსპორტირებით უზრუნველყოფა.</p> <p>1 ეპიდზედამხედველობა (მათ შორის ტუბერკულოზის კონტროლის პროგრამა) (მალარიისა და პარაზიტოლოგიურ დაავადებათა კონტროლი)</p> <p>2 იმუნიზაცია.</p> <p>3 ცხოვრების ჯანსაღი წესის განვითარების ხელშეწყობა</p> <p>4. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებულ საზოგადოებრივი მნიშვნელობის დაწესებულებებში სანიტარიული ნორმების დაცვის ზედამხედველობა.</p> <p>5. თამბაქოს კანონმდებლობის აღსრულების მონიტორინგი</p>		
პროგრამის მიზანი	პროგრამის მიზანია მეთვალყურეობა მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ჯანმრთელობაზე, ჯანმრთელობის რისკებსა და საგანგებო სიტუაციების მონიტორინგი და რეაგირება		
მოსალოდნელი შედეგი	მოსახლეობის ჯანმრთელობის შენარჩუნება და საგანგებო სიტუაციების ლოკალიზება		



ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	ჯანმრთელობის დაცვის ობიექტების მშენებლობა, რეაბილიტაცია	დაფინანსება ათას ლარებში
	06 02		1,7
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტში შემავალი ამბულატორიების რეაბილიტაცია და თანამედროვე სტანდარტებთან შესაბამისად მოწყობა		
მოსალოდნელი შედეგი	გაუმჯობესებული ამბულატორიული მომსახურება		

ათას ლარში

პროგრამის დასახელება	კოდი	სამკურნალო და საოპერაციო ხარჯებით დახმარების ქვეპროგრამა	დაფინანსება ათას ლარში
	06 03 01		345.4
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური დაცვის სამსახური		
პროგრამის აღწერა და მიზანი	<p>ოპერაციის, მედიკამენტის, სამედიცინო კვლევის და მომსახურების დაფინანსება: ქვეპროგრამა ითვალისწინებს ოპერაციებისა და სამედიცინო მომსახურების თანადაფინანსებას იმ თანხის 50%-მდე, რომელიც არ ანაზღაურდება კერძო დაზღვევის ან საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამით, თანადაფინანსება განისაზღვრება 100 ლარიდან არაუმეტეს 700 ლარამდე, ასევე, სამედიცინო კვლევის თანადაფინანსება 50%-მდე, არაუმეტეს 500 ლარისა.</p> <p>გამონაკლისის სახით, როდესაც პაციენტს გადასახდელი თანხა 2000 ლარზე მეტია, თანადაფინანსება გაიწევა 1000 ლარამდე. ონკოლოგიური დაავადებების შემთხვევაში დახმარება გაიწევა 1500 ლარამდე.</p> <p>ქვეპროგრამა ასევე ითვალისწინებს 150 ლარამდე ერთჯერად დახმარებას მედიკამენტების შესაძენად მიიმე და ქრონიკული დაავადებებისას, კერძოდ:</p> <p>ა) ეპილეფსიის;</p> <p>ბ) პარკინსონის;</p> <p>გ) ბრონქიალური ასთმის;</p> <p>დ) 0-6 წლამდე ასაკის ბავშვების მკურნალობისას, რომელთა ოჯახის სარეიტინგო ქულა არ აღემატება 150000-ს დახმარება გაიწევა ბენეფიციარებზე, რომლებიც რომლებიც არ მონაწილეობენ მედიკამენტებით დახმარების სახელმწიფო პროგრამაში.</p> <p>2019 წლის 9 თვის მაჩვენებლით პროგრამით ისარგებლა 598 ბენეფიციარმა.</p>		
მოსალოდნელი შედეგი	ქვეპროგრამით მოსარგებლეთა ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესება		

ათას ლარში

პროგრამის დასახელება	კოდი	კოხლეარული იმპლანტით მოსარგებლე პირთა დახმარება	დაფინანსება ათას ლარში
	06 03 02		5.0
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური დაცვის სამსახური		
პროგრამის აღწერა და მიზანი	ხარაგაულის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული კოხლეარული იმპლანტით მოსარგებლე 0-18 წლამდე არასრულწლოვანი პირების ფუნქციური დამოუკიდებლობის ხარისხის და მათი საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობის მიზნით, კოხლეარული იმპლანტის აპარატის შეუფერხებელი ფუნქციონირებისათვის საჭირო ნაწილების შექმნა. ქვეპროგრამის ფარგლებში ანაზღაურდება კვების წყაროსთვის საჭირო ელემენტის ღირებულება და/ან პროცესორის და		



მიკროფონის შემაერთებელი სადენის ღირებულება. დახმარების ოდენობა განისაზღვრება წელიწადში 1000 ლარის ოდენობით.

მოსალოდნელი შედეგი	ქვეპროგრამით მოსარგებლე ბენეფიციარების საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობა
--------------------	-----------------------------------------------------------------------------

ათას ლარში

პროგრამის დასახელება	კოდი	შპმ პირთა დახმარება	დაფინანსება ათას ლარში
	06 03 03		40,6
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური დაცვის სამსახური		
პროგრამის აღწერა და მიზანი	<p>1. ქვეპროგრამის ფარგლებში დახმარება გაეწევა 0-18 წლამდე ასაკის შპმ ბავშვს, რომელსაც ესაჭიროება სამკურნალო-სარეაბილიტაციო კურსის ჩატარება, სამედიცინო კვლევა, მედიკამენტი. დახმარება განისაზღვრება ჯამში წელიწადში არაუმეტეს 1200 ლარისა.</p> <p>2. ქვეპროგრამის ფარგლებში ყოველთვიური დახმარება გაეწევათ შპმ პირებს, რომლებიც საჭიროებენ მომვლელს და არ არიან სოციალური შემწეობის მიმღებნი. დაფინანსება განისაზღვრება თვეში 30 ლარით</p> <p>3. ქვეპროგრამის ღონისძიებებში გათვალისწინებულია ღონისძიების ორგანიზება, საჩუქრების შეძენა და ტრანსპორტის დაქირავება 2019 წლის 9 თვეში ყოველთვიური დახმარების მიმღებია 42 შპმ პირი, განცხადებით სამედიცინო მომსახურებისთვის მოგვმართა 20 მოქალაქემ ქვეპროგრამის მიზანს წარმოადგენს შპმ პირთა თანადგომა</p>		
მოსალოდნელი შედეგი	შპმ პირთა ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესებისა და საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობა და მათი ოჯახების თანადგომა		

ათას ლარში

პროგრამის დასახელება	კოდი	ერთჯერადი ფინანსური დახმარება	დაფინანსება ათას ლარში
	06 03 04		60,0
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური დაცვის სამსახური		
პროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მოქალაქეების, რომლებიც სხვადასხვა მიზეზის გამო განიცდიან უკიდურეს გასაჭირს, ერთჯერადად ფინანსურ დახმარებას. დახმარება განისაზღვრება არაუმეტეს 100 ლარისა.		
მოსალოდნელი შედეგი	ბენეფიციარის ოჯახის ფინანსური მხარდაჭერა		

ათას ლარში

პროგრამის დასახელება	კოდი	ლეიკემიით დაავადებულთა და დიალიზზე მყოფი პირების დახმარება	დაფინანსება ათას ლარში
	06 03 05		23,0
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური დაცვის სამსახური		



პროგრამის აღწერა და მიზანი	ჰემოდიალიზით ჩანაცვლების სენსიტივით მოსარგებლე ბენეფიციარები, ტრანსპორტის ხარჯით უზრუნველსაყოფად, მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან დაფინანსდებიან ყოველთვიურად 100 ლარით, ხოლო მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ ლეიკემიით დაავადებულ პირებს, მუნიციპალიტეტი წელიწადში გაუწევს 600 ლარის ოდენობით ფინანსურ დახმარებას. ქვეპროგრამის მიზანია პაციენტების ხელმისაწვდომობა სახელმწიფო პროგრამაში მონაწილეობაზე
მოსალოდნელი შედეგი	დაავადებულთა სასიცოცხლო მნიშვნელობის მკურნალობის ჩატარების ხელშეწყობა. ბენეფიციარების ჯანმრთელობის მდგომარეობის სტაბილიზაცია.

ათას ლარში

პროგრამის დასახელება	კოდი	მრავალშვილიანი ოჯახების დახმარების ქვეპროგრამა	დაფინანსება ათას ლარში
	06 03 06		10,0
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური დაცვის სამსახური		
პროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამის მოსარგებლენი არიან მუნიციპალიტეტში მცხოვრები მრავალშვილიანი ოჯახები, რომელთა სარეიტინგო ქულა არ აღემატება 150 001-ს და რომელთაც ჰყავთ 18 წლამდე ასაკის 4 და მეტი შვილი. დახმარება განისაზღვრება ოთხი ბავშვის შემთხვევაში წელიწადში ერთხელ 200 ლარით და ყოველ მომდევნო ბავშვზე ემატება 50 ლარი.		
მოსალოდნელი შედეგი	მრავალშვილიანი ოჯახების მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშეწყობა. კერძოდ, პროგრამით შესაძლებელი იქნება 40 მრავალშვილიანი ოჯახის ფინანსური დახმარება		

ათას ლარში

პროგრამის დასახელება	კოდი	მარტოხელა მშობლების დახმარების ქვეპროგრამა	დაფინანსება ათას ლარში
	06 03 07		3,0
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური დაცვის სამსახური		
პროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამის მოსარგებლენი არიან მუნიციპალიტეტში მცხოვრები მარტოხელა მშობლის სტატუსის მქონე პირები, რომელთაც ჰყავთ არასრულწლოვანი შვილი(ებ)ი. დახმარება განისაზღვრება წელიწადში ერთხელ 200 ლარით.		
მოსალოდნელი შედეგი	მარტოხელა მშობლების ფინანსური თანადგომა		

ათას ლარში

პროგრამის დასახელება	კოდი	მარჩენალდაკარგულთა დახმარების ქვეპროგრამა	დაფინანსება ათას ლარში
	06 03 08		6,0
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური დაცვის სამსახური		



პროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამის მოსარგებლეთა 21 წლამდე ასაკის მარჩენალდაკარგული ბავშვი, რომელსაც გარდაცვლილი ჰყავს ერთ-ერთი ან ორივე მშობელი. დახმარება განისაზღვრება ერთჯერადად 100 ლარის ოდენობით თითოეულ შესაბამის ასაკამდე ბავშვზე.
მოსალოდნელი შედეგი	მარჩენალდაკარგულთა თანადგომა

ათას ლარში

პროგრამის დასახელება	კოდი	ყოველთვიური ფინანსური დახმარება	დაფინანსება ათას ლარში
	06 03 09		50,0
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური დაცვის სამსახური		
პროგრამის აღწერა და მიზანი	პროგრამის მოსარგებლენი არიან: 1. დიდი სამამულო ომის ვეტერანები, 2. ზესტაფონის უსინათლოთა კავშირში გაერთიანებული ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული უსინათლოები 3. ხარაგაულის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული დევნილები. დახმარება განისაზღვრება თვეში 30 ლარის ოდენობით.		
მოსალოდნელი შედეგი	აღნიშნული კატეგორიის ოჯახების ფინანსური შესაძლებლობების გაზრდა კომუნალური გადასახადების უზრუნველყოფისათვის		

ათას ლარში

პროგრამის დასახელება	კოდი	საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის ომში დაღუპულთა ოჯახების დახმარება	დაფინანსება ათას ლარში
	06 03 10		8,0
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური დაცვის სამსახური		
პროგრამის აღწერა და მიზანი	პროგრამის ფარგლებში დახმარება გაიწევა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის ომში დაღუპულ იმ ოჯახებზე, რომლებზეც არ ვრცელდება „ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლის კრიტერიუმები		
მოსალოდნელი შედეგი	საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის ომში დაღუპულთა ოჯახების თანადგომა და მათი საფლავების მოვლა-პატრონობა		

ათას ლარში

პროგრამის დასახელება	კოდი	ხანდაზმულთა დახმარების პროგრამა	დაფინანსება ათას ლარში
	06 03 11		2,0
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური დაცვის სამსახური		
პროგრამის აღწერა და მიზანი	ხარაგაულის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული 100 და მეტი წლის ასაკს გადაცილებული ხანდაზმულების დახმარება 500 ლარის ოდენობით		
მოსალოდნელი შედეგი	უზუცესთა პატივისცემა		



პროგრამის დასახელება	კოდი	სადღესასწაულო დღეების დახმარება	დაფინანსება ათას ლარში
	06 03 12		34,0
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური დაცვის სამსახური		
პროგრამის აღწერა და მიზანი	<p>ქვეპროგრამის ფარგლებში ღირშესანიშნავ თარიღებთან დაკავშირებით სხვადასხვა მოწყვლად ჯგუფზე გაიწევა ფინანსური დახმარება: საშობაო ალილოს დღესასწაულთან დაკავშირებით უკიდურესად გაჭირვებულ ოჯახებს გაეწევა დახმარება სურსათით. ფაშიზმზე გამარჯვების დღის აღსანიშნავად სამამულო ომის ვეტერანებს გაეწევა ფინანსური დახმარება 200 ლარით. ჩერნობილის ა/ელექტროსადგურის სალიკვიდაციო სამუშაოების დაზარალებულებს _ 100 ლარით. 1989 წ. 9 აპრილს დაზარალებულებს _ 300 ლარით. დაუნის სინდრომის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით _ 100 ლარით. აუტიზმზე ცნობადობის ამაღლების დღესთან დაკავშირებით _ 100 ლარით. აგვისტოს ომში გარდაცვლილის ოჯახის წევრს -500 ლარით. ქვეპროგრამის ფარგლებში ასევე დაგეგმილია:</p> <p>1. ღირშესანიშნავი თარიღების აღსანიშნავად გვირგვინების /თაიგულების და საჩუქრების შექმნა. 2. საკვები პროდუქტის შექმნა უკიდურესად გაჭირვებული ოჯახებისთვის ალილოს დღესასწაულთან დაკავშირებით. ქვეპროგრამის მიზანია სადღესასწაულო დღეებსა და ღირშესანიშნავ თარიღებში მოწყვლადი ჯგუფების ფინანსური და მორალური მხარდაჭერა</p>		
მოსალოდნელი შედეგი	მოწყვლადი ჯგუფების ფინანსური მხარდაჭერა		

ათას ლარში

პროგრამის დასახელება	კოდი	სოციალურად დაუცველ და უპატრონო მიცვალებულთა სარიტუალო მომსახურების პროგრამა	დაფინანსება ათას ლარში
	06 03 13		10,0
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური დაცვის სამსახური		
